წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი N5

ქ. წალენჯიხა

2022 წლის 16 ივნისი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა, საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ავთანდილ გაბელია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი დარსალია, ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე მაია მიქავა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მამუკა მიქავა, ფრაქცია „წალენჯიხა საქართველოსთვის" თავმჯდომარე გონერი კვარაცხელია, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარია, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ომარ ქარდავა, ქონების მართვის და რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თემურ ქარდავა. იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისის თავმჯდომარე რომანი კვარაცხელია. საკრებულოს აპარატის უფროსი იზოლდა მოლაშხია, საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი მაია ციმინტია.

ბიუროს სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
ბიუროს სხდომა დასრულდა: 12:30 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელ სალიამ ბიუროს წევრებს გააცნო

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ადმინისტრაციულ-სამართლებლივი აქტების გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.
   მომხსენებელი კორნელი სალია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
2. სხვადასხვა:

ბიუროს წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

1. **მოისმინეს**: ადმინისტრაციულ-სამართლებლივი აქტების გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ ბიუროს წევრებს წარუდგინა საკრებულოს აპარატში დარეგისტრირებული მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული და საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის მიერ ინიცირებული

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები,რომელზეც უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

საკრებულოს ბიურომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება შემდეგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მისაღებად:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის N9 დადგენილებაში ცვლილების შესახებ.
2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1თებერვლის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
3.“წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯამრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
4.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე.

5.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

6.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში /იჯარით/ აუქციონის ფორმით გაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

7.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

8.ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე.

9.გეოგრაფიული ობიექტის სახელდების დადგენილი წესიდან გამონაკლისის დაშვების, წალენჯიხის ზღვაიას დასახლების შესასვლელში არსებული ხეივნისთვის იაშა მესხიას სახელის მინიჭების, მიზანშეწონილების თაობაზე.

10.სხვადასხვა.

2. განსახილველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით კომისიების სხდომები გაიმართოს 2022 წლის 23 ივნისს:

ა) სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომა-10^{00}საათზე;
ბ) საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა 11^{00} საათზე.
გ) ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია 12^{00} საათზე;

3.საკრებულოს სხდომას გაიმართოს 24 ივნისს 12 საათზე.

4.დაევალოს საკრებულოს აპარატს:

ა) გამოაქვეყნოს საკრებულოს ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე:
ა.ა) ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;
ა.ბ) ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების პროექტები.
ბ) დარეგისტრირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გადაცემა (ელ. ფორმით) საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და საკრებულოს თითოეული წევრისთვის;
გ) სხდომების გამართვის თარიღი, დრო, ადგილი.
დ) აქტებთან დაკავშირებით წარმოდგენილი შენიშვნებისა და წინადადებების წარდგენა საკრებულოსთვის;

2.მოისმინეს: სხვადასხვა: 1.ფრაქცია „წალენჯიხა საქართველოსთვის“ თავმჯდომარე გონერ კვარაცხელიამ ბიუროს წევრებს გააცნო. პარტია „ლელო საქართველოსთვის“ წევრის გიორგი დარსალიას განცხადება ფრაქცია „წალენჯიხა საქართველოსთვის“ შემადგენლობაში გაწევრიანების თაობაზე. საკითხი კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით გადაეცა სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას სამართლებრივი დასკვნის წარმოსადგენად.

2. იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რომან კვარაცხელიამ ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს თავმჯდომარის კორნელი სალიას განცხადება იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიაში გაწევრიანების თაობაზე. რომან კვარაცხელიამ აღნიშნა, რომ ამით არ იცვლება ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები კომისიაში, იცვლება მხოლოდ კომისიის შემადგენლობა. გათვალისწინებით ამისა,

საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა:

1. ჩამოყალიბდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის შემადგენლობა 8 დეპუტატით:
ა) რომან კვარაცხელია;
ბ) ავთანდილ გაბელია;
გ) მამუკა მიქავა;
დ) გიორგი დარსალია;
ე) თენგიზ ფიფია;
ვ) მაია მიქავა;
ზ) ლევან მებონია;

თ) კორნელი სალია

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალია.